



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 265

ქალაქი ქუთაისი 25 მაისი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის
25 თებერვლის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს N670 და N676 პუნქტები თანდართული რედაქციით:

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
670	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩა N58-ის სამხრეთით	38.0	03.05.22.573	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
671	მიწის ნაკვეთი	ჭავჭავაძის გამზირი N45-ის სამხრეთით	8.0	03.04.30.495	90.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
672	მიწის ნაკვეთი	წერეთლის ქუჩა N218-ის დასავლეთით	82.0	03.06.21.390	104.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
673	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩა N19-ის სამხრეთით	1346.0	03.05.22.571	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
674	მიწის ნაკვეთი	წერეთლის ქუჩა N160	1558.0	03.06.21.171	104.0 1 კვ.მ.-ზე	პირობა: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეულ ტერიტორიაზე მოაწყოს, დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, სპორტული მოედანი	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
675	მიწის ნაკვეთი	სულხან-საბას გამზირი N10-ის მიმდებარედ	300.0	03.05.27.008	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
676	შენობა-ნაგებობა	პ.იაშვილის ქუჩა N9, ნაკვეთი N2	662.0 მიწა 801.24 შენობა	03.03.21.067	114000	პირობა: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, უძრავი ქონების საკუთრების უფლების გადაცემიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში მოახდინოს ტერიტორიის შემოღობვა, უსაფრთხოების ნორმების დაცვა და შენობა-ნაგებობის დაზიანებული ნაწილის დემონტაჟი და ტერიტორიის ნარჩენი მასალისგან გათავისუფლება	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში